

ახადი პროგრამით ნატურადური რძის მიწოდებური დღგ-სგან განთავისუფლება



საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მამუკა ბახტაძე მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებობს ასიმეტრიური რეგულაციები, რომლებიც ხელს არ უწყობს სფეროს განვითარებას.

მამუკა ბახტაძემ საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მის პროგრამაში გათვარისწინებულია დღგ-სგან არამართო რძის მიწოდების, არამედ ნატურადური რძისგან დამზადებული ყვედა პროდუქტის გათავისუფლება.

მისი თქმით, ასეთი რეფორმები განაპირობებს, რომ გრეხს მეტი შემოსავალი მიეცეს.

„გუშინ მე წავიკითხე რამდენიმე ე.წ. ექსპერტის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით და ბევრმა ეს არ ჩათვალა საინტერესო რეფორმად. სწორედ ასეთი რეფორმები განაპირობებს იმას, რომ ჩვენს გრეხს მივცეთ მეტი შემოსავალი. ეს რეფორმა სინამდვილეში ნიშნავს იმას, რომ გრეხი შეძლებს უფრო მაღალ ფასში ჩააბაროს ნატურადური რძე და მიიღოს დამატებითი შემოსავალი. ეს ნიშნავს, რომ მწარმოებლები შეძლებენ, გადავიდნენ ნატურადურ რძეზე, ნაცვლად დღეს არსებული რძის ფხვნილისა, რომლის 100 პროცენტი არის იმპორტირებული. რაც ყველაზე მთავარია, მოსახლეობა მიიღებს ნატურადური რძისგან დამზადებულ პროდუქტებს“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც გუშინ პარლამენტისთვის წარდგენილ სამთავრობო პროგრამაში – „თავისუფლება, კეთილდღეობა, სწრაფი განვითარება“ არის აღნიშნული, ქართული წარმოების ნატურალური რძე და რძის ნაწარმი დამატებული ღირებულების გადასახადისაგან სრულად გათავისუფლება, ჩათვლის უფლებით.